№ 34

სამშაბათი, 17 თებერვალი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 34

სამშაბათი, 17 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 8 | 8 — | 3 | 3 50 |
| 9 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 22 თებერვალს, განსვენებულის

**საქართველოს მეფის ერეკლე II-ს**

დაკრძალვის დღეს გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მცხეთის ტაძარში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (3—1)

თ. გიორგი მელქისედეკის ძე ჭავჭავაძე შვილებითურთ და მელანია ივანეს ასული კნეინა ჩოლოყაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა სოფ. ყვარელში პირველი—მეუღლისას, მეორე—დისას

**კნეინა თამარ ივანეს ასულის ჭავჭავაძისას.**

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება, ოთხშაბათს, 18 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, კალოუბნის ეკკლესიაში. (2—33—1)

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნა ივანე ცვერავა გუდაუთის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნა კრკვნის გუბერნიის შარუროდარალაგაზის ნაწილის გარდასახადთა ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი, ტიტულიარნი სოვეტნიკი კახიძე—ტფილისის გუბერნის თელავის მაზრის გარდასახადთა ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

⁂ როგორც შევიტყეთ, ფოტოგრაფს როინაშვილს გამოუცია საქართველოს მეფის ერეკლე II სურათის 500 ცალი. თითო სურათი 25 კ. ღირს. შემოსავალი ამ სურათებისა გადადებულია ირაკლის ფონდის სასარგებლოდ. ეს სურათები გაიყიდება მცხეთაში 22 თებერვალს.

⁂ ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის საზოგადო წლიური კრება, რომელიც 14 თებერვლისათვის იყო დანიშნული, არ შესდგა, რადგანაც საკმაო რიცხვი წევრებისა არ შეიკრიბა.

⁂ გუშინ, 16 თებერვალს, ახალის ქალაქის მოურავის გ. ევანგულოვის წინაშე გამოცხადდნენ აგენტები ქალაქის ბაზრისა. ბ-ნმა ევანგულოვმა განაცხადა რა, რომ იმედი მაქვს ჩვენს თანამდებობას კეთილ-სინიდისიერად შეასრულებთო, ბოლოს სთქვა—ზოგიერთი უსახელო წერილი მივიღე, მაგრამ მაინც გამოვიძიებო.

⁂ ქალაქის საბჭოს კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო ორშაბათს, 16 თებერვალს, იქნება ოთხშაბათს, 18 თებერვალს. ამ კრების თავმჯდომარედ იქმნება ახალი მოურავი ბ-ნი გ. გ. ევანგულოვი, რომელიც წარუდგენს ქალაქის საბჭოს მოხსენებას იმის შესახებ, რომ ქალაქმა შესაფერი პატივი სცეს 22 თებერვალს საქართველოს მეფის ერეკლე მეორის ხსოვნას მისის გვამის დაკრძალვის ასის წლის შესრულებისა გამო.

⁂ 15 თებერვალს ქალაქ ოზურგეთის მოურავმა თავადმა ნ. თავდგირიძემ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქ ოზურგეთის თვით-მმართველობამ, მოისმინა-რა თქვენგან მოსული ამბავი პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ, დამავალა გაცნობოთ შემდეგი გარდაწყვეტილებაო: თუმცა კარგად ვიცით, რომ უმაღლესი სასწავლებელი მეტად საჭირო არის კავკასიისათვის და ამ საქმეს დიდად თანავუგრძნობთ და თუმცა ქალაქი ოზურგეთი მეტად ღარიბი არის, მაგრამ ამისდა მიუხედავად ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა: თუ ვინიცობაა ტფილისში პოლიტეხნიკუმი დაარსდა, გარდავიხდით ერთხნობით 1,000 მანათს და შემდეგ, როცა მეტი შეძლება გვექნება და შემოსავალიც მოგვემატება, მაშინ შემწეობას მივცემთ ამ პოლიტეხნიკუმს ჩვენის ქალაქის შემოსავალის მიხედვითაო.

⁂ ქართული დრამატიული დასის სეზონი დამთავრდა. დასმა ყველიერში ზედი-ზედ სამი წარმოდგენა გამართა. ითამაშეს „და-ძმა“, „თამარ-ბატონიშვილი“ და „სამშობლო“. სამივე წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

⁂ აზ. იოსებ ქუთათელაძეს შუამდგომლობა დაუწყია იმის შესახებ, რომ ნება მომეცით რამდენიმე ქართული წარმოდგენა გავმართო ავჭალის იაფ-სასადილოს დარბაზშიო.

⁂ მკურნალი ვაშაკიძე, რომელიც ბათუმში იქმნა გაგზავნილი სხვა-და-სხვა გვარ გადამდებ სენთან საბრძოლველად, სახადით გახდა ავად. ავადმყოფს ქალაქის საავადმყოფოში სწამლობენ და ახლა უკეთ არის თურმე.

⁂ ტფილისის ბოტანიკურ ბაღის გასაფართოვებლად შეძენილი იქმნა 24 დესეტინა მამული, რომელიც დაბახანის ხევის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. ამ ჟამად ხელახლად შეუდგნენ იმ გზატკეცილის გაყვანას, რომელმაც ახლად შეძენილ მამულზედ უნდა გაიაროს, რომ ბაღში მსურველთ ეტლებით შეეძლოთ მისვლა. ეს გზა ლოლაძის სახლის მახლობლად კოჯორის გზატკეცილიდგან იწყება, მიდის დაბახანის ხევზედ, რომელზედაც ხიდი იქმნება გადებული და გაივლის

## ფელეტონი

### ასპინძის ომი

(ისტორიული მასალა).

გაიარა 128 წელმა, რაც ეს შესანიშნავი ომი მოხდა; წელს, 11 იანვარს, შესრულდა ასი წელიწადი, რაც საქართველომ დაჰკარგა ამ ომის გმირთა გმირი თავის ბატონი და პატრონი მეფე ერეკლე და, ფრიად საინტერესოა ადგილობრივ გამოვიკვლიოთ, სამცხე-საათაბაგოს ქართველობას ახსოვს და რამე ამ გამოჩენილ ომისა?!

სოფ. ასპინძა მდებარეობს უწინდელ ზემო ქართლში, სამხრეთ საქართველოში, სამცხე-საათაბაგოში და დღევანდელს ახალციხის მაზრაში. ახალციხიდან ჯავახეთისკენ რო წახვალთ, ზედ შუა გზაზე (32 ვერსია) დაგიხვდებათ სოფ. ასპინძა, რომელიც გაშენებულია მტკვრის ხეობის მარჯვენა ნაპირს ვაკე ფერდობზედ. მცხოვრებნი რიცხვით 60 კომლამდე ქართველი მაჰმადიანები არიან. თათრობის დროს აქ სანჯახ-ბეგობდნენ დიასამიძენი და ძრიელ განვლენიანნიც ყოფილან. ოცი წელიწადი მეტია, რაც ყველანი ამოწყდენ—თურმე ყველა ჰკუიდგან იშლებოდა და ისე ჰკვდებოდა, მცხოვრებთა შორის ბევრი ცნობილი გვარია: ზუბალაშვილები და სხვ. სოფლის მარჯვნივ, ხევის პირას, კლდეზედ აღმართული პატარა ციხე-კოშკი და ორ ალაგასაც ბაღებში პატარა ეკლესიების ნანგრევები ჰმოწმობს ქართველთა აქ ოდესმე ბატონობას.

1636 წელს გამოვესალმეთ ამ ბატონობას ქართველ ათაბაგთა და დიდებულთა წყალობით, იმათის ღალატით, სიბრიყვითა და შეუგნებლობით. 192 წელი ბარბაროსობდა აქ ოსმალეთი, ცეცხლითა და მახვილითა ვრცელდებოდა აქ მაჰმადის რჯული, ვიდრე ძლიერმა მოძმემ, ერთ მორწმუნე რუსეთმა ისევ დაიბრუნა ეს მხარე 1828 წ.

ასე და ამ გვარად 262 წელიწადი სრულდება რაც ეს ზემო ქართლი, სადაც ქართველთა სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა, აღარ იმყოფება ქართველთა გავლენის ქვეშ და, რაღა თქმა უნდა, ძლიერ საგულისხმოა ვიცოდეთ, რა ცვლილება მოხდა ამ უწინდელ სამცხე-საათაბაგოში და ან რაღა დარჩა აქ ქართული ნიშან წყალი. ესე ყოველივე საკმაოდ გამოკვლეული გვაქვს და შემდეგში მოგახსენებთ დაწვრილებით, ახლა კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ არც მაგრე ადვილი ყოფილა ქართველის კაცის გადაგვარება, გადარჯულება. სამცხე საათაბაგოს ქართველობა თუმცა ორასი წელიწადზედ მეტი იჩაგრებოდა ოსმალეთის რკინის უღელ ქვეშ, თუმცა ორას წელიწადზედ მეტს ჰბატონობდა აქ თათრული ენა (ეხლაც ჰბატონობს), ფანატიკოსობდა მაჰმადის რჯული (ეხლაც ფანატიკობს) და ოსმალოს ზნე-ჩვეულება დიდ პატივში იყო, მაგრამ ქართველი ხალხი მაინც ქართველადვე დარჩა, ქართული სული უდგიათ. თუ იმას გვიპასუხებენ, რომ ვინც ქრისტიანი არ არი, ქართველად არ გვიწამებიაო, ეგ სხვაა. ჩვენის აზრით-კი ქართველი რომელ სარწმუნოებასაც უნდა აღიარებდეს, თუ გინდ წარმართიც იყოს, მაინც ქართველია, ვიდრე დედა-ენა არ დაუკარგავს და თავის ბუნებრივი განსაკუთრებული ზნე-ხასიათი შერჩენია და ეროვნული ელფერი ატყვია.

ჩვენდა საუბედუროდ ქართველურის ჰკუის სიზანტე და სამაგალითო დაუდევრობა ყველგან და ყველაფერში გვდევნის, თორე განა არ იყო შემთხვევა, როდესაც რუსეთმა ახალციხე აიღო, მთლად სამცხე-საათაბაგოს ხალხი მთებსა და კლდე-ღრეებში იყო გახიზნული, ქართველებმა (მაჰმადიანებმა) იქიდან მორჩილება შემოუთვალეს თავად ბებუთოვს და თან სთხოვეს, გვიბძანეთ რა სარწმუნოების ხალხათ ვაღიაროთ ჩვენი თავიო—ქრისტიანებად თუ მაჰმადიანებადაო? მაშინ ამას ყურადღება არავინ მიაქცია და დღეს კი გვიანღაა.

ეჰ! ამაზედ შემდეგ იყოს... ასპინძის ომის ამბავი მოუსმინოთ აქაურ ქართველობას.

ასპინძასთან მტკვრის ხეობის მარჯვენა ნაპირი საკმაოდაა გაფართოებული. არე-მარე უტყეოა, ხოლო თითონ სოფელი ბაღ-ბოსტნებით არის შემკული. „ასპინძის ბოლო“ 3—4 ვერსის სივრცეზედ მტკვრამდეა დაქანებული. ძრიელ ნაყოფიერი ყანებია, რომელთაც პატარა ხევი ჰრწყავს. ხევი სოფელს მარჯვნივ ჩამოუდის ციხე-კოშკთან და ამ ხევის წყალით და გაყვანილის რუებით ისარგებლა მეფე ერეკლემ, როდესაც უბრძანა ერთგულ ქართველებს: აბა ბიჭებო, რჯულისა და მამულისათვის! ამაღამ უნდა მტრის იდუმალ ჩაშალოთ მტკვარზედ ხიდი და მთლად ხნულები წარღვნათ ამ ადიდებულ ხევითაო. გაზაფხული იყო. რამდენიმე ვაჟკაცი მსწრაფლვე გაიფიცნენ და იმავე ღამეს მეფის ბრძანება ერთიც შეასრულეს და მეორეც.

ასპინძის მხარ მარჯვნივ, ხევ გაღმა მაღალი გორაკი ჩამოსდევს, რომელზედაც თათრების თურბებია (სასაფლაო). მეფე ერეკლემ ბრძოლის წინა ღამეს აქედგან გადაჰხედა მტრის ბანაკს და გამოიკვლია მათი ძალა.

სოფ. ასპინძიდგან შეუდგებით მთისკენ აღმართ გზას და ნახევარ საათის სავალზედ წააწყდებით ერთ ჩავარდნილს ალაგს, სადაც ბუჩქნარებში მდებარეობს სოფ. ტამალა (დამალა?). მეფე ერეკლემ აქედგან გაიმაგრა ზურგი, წინა დღითვე ამ სოფელში ჩაასაფრა რჩეულის ჯარით ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი, რომელიც გაჭირვების წამს ახალის ძალით, შესვენებულის ჯარით უნდა მიჰშველებოდა მამას. მკითხველს უეჭველად ეხსომება, რომ ბატონიშვილი გიორგი განსაცდელის წამს არამც თუ არ მიეშველა მეფეს და თავ-დადებულს ქართველებს, არამედ მოუთმენელად ელოდდა სანატრელ მახარობელს, როდესაც მამას იქ მოჰკლავდნენ და თვით ტფილისში ჩაიჭრებოდა ტახტზედ ასასვლელად. დიაღ, ამ აზრებით ვმეფობდით, ასე გვიყვარდა საქართველო!

ესე ყოველივე გაგონილი ანუ წაკითხული გექნებათ, ახლა-კი იმას მოგახსენებთ, რაც აქაურ ხალხში ცნობები მოიპოვება ასპინძის ომის შესახებ.

ასპინძელ ქართველებში დედა-ენის მცოდნენი ძალიან ცოტანი აღმოჩნდნენ. ეს იმითი აიხსნება, რომ სოფელი სანჯახ-ბეგების დიასამიძეთა სამფლობელო იყო და, ხო მოგეხსენებათ, ოსმალოს მთავრობის ერთგულნი და ყველაზედ ძლიერ ისლამისთვის თავ-გამოდებულნი ქართველნი დიდებულნი იყვნენ და არიან დღესაც პირადის სარფის გულისთვის. თანაც ასპინძა ბოლოზი ადგილია, გზის პირად მდებარეობს და გამვლელ-გამომვლელი ხალხი ამ სოფელს არ ასცდება,—მაინც ერთი შესანიშნავი ლექსი გავიგონე. ზუბალაშვილმა მიპასუხა: ჩვენის ძველე-

ახლად შეძენილს მამულზედ. გზას ყოველ გვარ მისახვევ-მოსახვევებით $2^1/_2$ ვერსის სივრცე ექმნება. გზის გაყვანას მოჰხმარდება ის თანხა, რომელიც მთავარ-მართებლის მიერ იქმნა გადადებული, სახელდობრ, წარსულს წელს გადაიდო ათასი მან. და წელსაც ამოდენივე. ბაღის მოსარწყავად ახალ მამულზედ გაყვანილი იქნება რუ დაბახანის წყაროდგან.

∴ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია, რომელიც შესდგება თავმჯდომარის ე. ვ. ჩემესოვისა, წევრისა დ. ე. ჩერნიკისა და ბრალმდებელის ამხანაგის ა. კ. მოსევიჩისა 23 თებერვალს გორში წავა. სესსია 7 მარტამდე დაჰყოფს.

∴ მომავალ სამოსწავლო წელს, გაზ. „Рус. Вѣд.“-ის სიტყვით, კავკასიაში ოც-და ათამდის დაბალი სატეხნიკო და სამთა-მადნო სასწავლებელი დაარსდება.

∴ გაზ. „Рус. Вѣд.“ სწერს, რომ კავკასიაში საეროზო დაწესებულების შემოღების საქმის განხილვა გადაიდო მომავალ შემოდგომამდის და ამ ხნის განმავლობაში საჭირო ცნობები იქმნება შეკრებილი ადგილობრივ გუბერნატორთა და სხვა მთავრობის წარმომადგენელთაგანაო.

∴ გაზ. „კავკაზ“ სწერენ, რომ გორის მაზრის სოფ. დირბის სამონასტრო გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ სასოფლო-სამეურნეო თანხიდგან მიეცეთ მათ 2,000 მანეთი სამონასტრო ადგილების შესაძენად. გარდა ამისა იგივე გლეხები შუამდგომლობენ, ნება მიეცეთ გაჰყიდონ ის ხორბალი, რომელიც საზოგადო პურის მაღაზიებში აქვს შენახული.

∴ გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, აზრადა აქვთ დაღესტნის ოლქის ზოგიერთ ადგილებში სამოსამართლო წესდებანი შემოიღონ.

∴ გაზ. „Свѣтъ“-ი სწერს, რომ ამ ჟამად სამხედრო დაწესებულება იმის ძიება-კვლევაშია, თუ ხსენებულ დაწესებულებას რამდენი მამული აქვს მთლად კავკასიის სამხედრო ოლქშიო.

∴ ქუთაისი. ამ რამდენისამე დღის წინად აქ ბევრმა მიიღო ფოსტით კონვერტში დაბეჭდილი პატარა წიგნაკი ერთის მანეთის ფას-დადებით. წიგნაკი დაბეჭდილია ქ. ტფილისში ამ სახელწოდებით:

„Послѣдняя ночь Іуды“.

Посвящается отцу Іоанну Кронштадскому.

Соч. кн. К. Вачнадзе.

Съ міру по ниткѣ,—
Голому рубашка.

Часть прибыли предназначается въ пользу предполагаемой Тифлис. Дворянской женской школы.

წიგნაკი პაწია ფორმატისაა და 28 გვერდს შეიცავს. ფასდადებით გამოუგზავნია კნ. მართა ირადიონის ასულს ვაჩნაძისას. ბევრმა გადიხადა ამ ერთი ბეწო წიგნაკში მანეთი. კითხულობენ, ვინ არის ეს კნ. ვაჩნაძისა? მართლა ხსენებულის სკოლისათვის სდებს რამე ნაწილს, ან რამდენ ნაწილს, რატომ არ არის გამოცხადებულიო? ზოგი ეჭვში შევიდა, იქნება ამ კნეინას სახელით ვინმე გვატყუებდესო და სხ. კარგი იქნებოდა, ეს გამოცანა ახსნებოდეს.

∴ სოფ. სურები, (ოზურგეთის მაზრა). 12 თებერვალს პოლიციის ბოქაულის ბრძანებით შეყრილ იქმნა სასოფლო კანცელარიაში მთელი საზოგადოება, რომელმაც დაადგინა გარდასახლებულ იქმნას სამუდამოდ ჩვენის საზოგადოებიდგან ივ. ბარამიძე მრავალგვარის ცუდკაცობისათვის.

ზამთარმა ხელახლად მოიგიჟიანა თავი და სრულიად დაგვავიწყა წარსულის სამის კვირის მშვენიერი დარები. მიჰყო ისევ ხელი თოვას და ისე ბლომად მოდის, რომ თუ სამს დღესაც ასე გასტანა, საქონლის სინსილას სულ ერთიანად გააქრობს.

∴ 5 თებერვალს, გაზ. „Сѣв. Кавк“. სიტყვით, სტავროპოლის ქალაქის საბჭომ განიხილა გამგეობის მოხსენება ტფილისში განზრახულის პოლიტეხნიკუმის დასაარსებლად შეწყობის აღმოჩენის შესახებ. სტავროპოლის ქალაქის გამგეობამ თავის მოხსენებაში ის აზრი გამოსთქვა, რომ მთელის კავკასიისთვის მეტად სასარგებლო იქმნება, რომ პოლიტეხნიკუმი კავკასიის შუაგულს—ტფილისში დაარსდეს. რადგანაც პოლიტეხნიკუმი სტავროპოლსაც სარგებლობას მოუტანს, ამიტომ სასურველია ამ ქალაქის თვითმართველობამაც მონაწილეობა მიიღოს პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეშიო. სამწუხაროდ ამ ჟამად სხვა და სხვა მიზეზისა გამო, ქალაქის გამგეობას არ შეუძლიან გადაჭრით დაასახელოს ის თანხა, რა თანხაც ქალაქმა ამ საქმისათვის უნდა გადასდოს და ის წყაროც, საიდგანაც უნდა შევსებულ იქმნას იგიო. მაგრამ გამგეობას მაინც იმედი აქვს, რომ 1899 წელს გამოსძებნის ისეთ წყაროს, რომლის წყალობით დაფარული იქმნება ამ საქმისათვის გადადებული ხარჯი. ხოლო როდესაც პოლიტეხნიკუმი იქმნება დაარსებული ტფილისში, გამგეობის აზრით, ქალაქს შეუძლიან იყოლიოს რამდენიმე სტიპენდიანტიო. სტავროპოლის საბჭომ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება.

∴ 24 აპრილს ტფილისის ოლქის სასამართლოში გარჩეული იქმნება საყურადღებო საქმე ვასილ მამიკონოვისა, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდება.

∴ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ გორის მაზრის სოფ. ნოსტედგან: „ამას წინად აქ შემდეგი მკვლელობა მოხდაო. თავ. თარხნიშვილებს ამ ადგილებში ტყე აქვთ. ერთის მათგანის ტყის დარაჯმა მოსჭრა ტყეში რამდენიმე ხე. მეორე ტყის დარაჯმა მოატანა და ლანძღვა დაუწყო, რათა სჭრი სხვის ტყეში ხესაო. პირველმა დამტკიცება დაუწყო, რომ ეს ტყე ჩემის ბატონისა არისო. დარაჯებმა ამის გამო ლაპარაკი გააბეს და ბოლოს ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროს ერთმა მეორე მოჰკლა. მკვლელიცა და მოკლულიც მცირე წლოვანნი არიან. ახალგაზდა მკვლელმა, როგორც ამბობენ, თვით განუცხადა პოლიციას ეს ამბავიო. დამნაშავე დააპატიმრეს.

∴ ყველიერის სამს დღეს ტფილისში განუწყვეტელი თოვლი მოდიოდა. ისეთი დიდი თოვლი დასდო, რომ მარხილები თავისუფლად დადიოდნენ. 16 თებერვალს გამოიდარა და ქალაქში საშინლად ატალახდა.

∴ 16 თებერვალს მე-9 პოლიციის ბოქაულს გამოუცხადა ტფილისის მოქალაქე ფელდშტეინმა, რომ ვიღაც ბოროტ-მომქმედმა ჩემის საკაზმავის დუქნის კარები გატეხა და წაიღო სხვა-და-სხვა ძვირფასი წიგნები და ჩემის შეგირდების ლოგინი, სულ 200 მანეთისაო. პოლიცია მაშინვე ქურდის ძებნას შეუდგა და დააპატიმრა კარალკოვი, რომელიც გამოტყდა, რომ ქურდობა მე ჩავიდინეო.

∴ პირველ საერთო სახალხო აღწერით შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ტფილისს საპატიო ადგილი უჭირავს იმ ქალაქთა შორის, სადაც მამაკაცთა რიცხვი სჭარბობს დედაკაცთა რაოდენობას, სახელდობრ: პეტერბურგს 1000 მამაკაცზედ 826 დედაკაცი მოდის, მოსკოვში—763, ტფილისში—671, სევასტოპოლში—571, ბათომში—399 და ვლადივოსტოკში—186.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**პერევისის საზოგადოება**, (შორაპნის მაზრა), 6 თებერვალი. პერევისის საზოგადოების საქმე, ღმერთმანი სწორედ რომ სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს. ამ ორ-სამს თვეში აქ სამი მამასახლისი გამოიცვალა და მეოთხეც, ახლად არჩეული, დღედღეზედ მოელის ჯაჭვის მიღებას. შეკიწროვებულმა მცხოვრებლებმა აღარ იციან, ვის მიჰმართონ, ვისა სთხოვონ თავისს გაჭირებაში შემწეობის აღმოჩენა. ხან ერთზედ მიუშვერენ თითს, ხან მეორეზედ. ისიც მივა მამასახლისთან, გაიხმობს ცალკე, მოუყვება მესტვირესავით თავისს თავ-გადასავალს. მამასახლისი შეჰპირდება შემწეობის აღმოჩენას და დროს დაუნიშნავს. აღნიშნულს დროს მოვა საწყალი, მაგრამ დახე იმისს ბედის სიმუხთლეს! პირობის მიმცემი მამასახლისი აღარსადა სჩანს, მისი კვალიც-კი გამქრალა. ის დალოცვილი ჯაჭვი ახლა სხვის მკერდს ამშვენებს და სირცხვილისაგან, რომ იგი ასე გაუტანელია, თავი უბეში ჩაუყვია. მცხოვრები ახლა მეორეს შესჩივის, მერე მესამეს და ასე ამ რიგად დაუსრულებელს ტანჯვაშია იგი უამისოდაც მრავალ მიზეზთაგან შევიწროვებული.

ახლა ვიკითხოთ, ვისი ბრალია ყველა ეს?! ისევ ხალხისა და იმათის ურიგობისა. ჩვენს საზოგადოებაში შიგა და შიგ მაინც მოიპოვებიან ცოტაოდნად შესმენილნი და წერა-კითხვის კარგად მცოდნე კაცები, რომელთაც მართლა რომ შეუძლიანთ მამასახლისობის მძიმე მოვალეობის ასრულება, თუ სულ უნაკლულოდ არა, ზოგიერთებზედ უმჯობესად მაინც. მაგრამ საზოგადოება იმათ ყურადღებას არ აქცევს. აქ ხალხი ჰკიან კაცად და მამასახლისობის ღირსად ჰხდის იმას, ვინც ყოველ დღე სასამართლოშია, უხოვს ყველას განურჩევლად, მოშლილ წისქვილივით სულ თითონ არაკუნებს და „ყარამანზედ“ დიდი ხმა აქვს. უეჭველია, ამითი ხელმძღვანელობდა ურიგობა, როდესაც აარჩია ახალი მამასახლისი.

ვანო გუნაშვილი

---

ბისაგან გაგვიგონია, რო ირაკლი ხანს აქ ომი ჰქონია და კოხტა ბელადი მოუკლავსო, ასპინძის ლექსი არ ვიცი და სხვა ლექსი-კი ვიციო:

„ხევს ჩამოვიდა ლაშქარი
ოსისა ჩერქეზისაო,
წელზედ აკრიათ ქარქაში
წითელი კემუხტისაო.
შიგ რო ისრები უწყვიათ
ნარჩევი გველი ფხისაო“.

თუ გავიხსენებთ იმ ამბავს, რომ ასპინძის ომში მეფე ერეკლეს ოსებიც და ჩერქეზებიც ჰყავდა, მაშინ ეს ლექსი ნამდვილად ასპინძის ომს ეკუთვნის.

ყველამ მირჩია ოშორაში წასვლა, იქაურ ქართველებში მოიკითხეთო. ასპინძიდგან ორიოდე ვერსის სავალზედ სოფ. იდუმალს რო მივუახლოვდით, მარჯვნივ შევუხვიეთ ერთს მიმალულს, მივარდნილს ხეობს, რომლის სათავე ბორჯომის მთიდგან იწყება: ამ ხეობაშია ორი სოფელი, ქვემო და ზემო ოშორა, სადაც ქართული ენა თითქმის ხელ-უხლებლად შენახულა დღევანდლამდე. პატრონი და ბატონი ამ სოფლებისა ჰამიდ-ბეგ ავალიშვილი კარგი დარბაისელი ქართველია, დედა-ენის კარგად მცოდნე და მშვენიერი ტანადთვალადი, ნამდვილის ქართულის სახის კაცი, განსვენებულ, ჩვენის დაუვიწყარ საზოგადო მოღვაწის ანნა ბესარიონის ასულის მუსხელიშვილის მეუღლისაგან ნაჩუქარი აქვს „ვეფხის-ტყაოსანი“ და ძალიან უყვარს ამ წიგნის კითხვა... მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

ჰამიდ-ბეგმა გამაცნო თავისის სოფლის ორი ღრმად მოხუცებული ქართველი ისმაილ გონიაშვილი და მათო ჰეჲოშვილი, ორივენი თითქმის ას-ასის წლისა იქნებიან, მაგრამ იქამდე ჯან საღნი არიან, რომ მუშაობაში ახალგაზდებს უჯიბრდებიან. საკვირველი და საოცარი ის არის, რომ ამ ბერიკაცებმა არც ერთი სიტყვა თათრული არ იციან! ვისაცა გქონან ყურნი სმენად, ისმინენ! ორასი წელიწადი ბარბაროსობდა აქ ოსმალები, რა ტანჯვა-წამება არ მიაყენა ამ ხალხს და მაინც დღესაც აქამომდე მოიპოვებიან ისეთნი ქართველნი (მაჰმადიანნი), რომელთაც არც ერთი სიტყვა თათრული არ იციან! მუსტაფა-ბეგმა მიამბო: მეჩითში (ჯამეში) რომ შევლენ ხოლმეო, შეჰხედავენ მოლას, დაჰხედამენ მლოცველ ხალხს და რო არაფერი ესმით მათ, გარშემო რაც ხდება, განცვიფრებული აღაპყრობენ ხელებს ზეცისკენ: „ღმერთო შენ იცი“! ეს არის იმათი ლოცვა და ვედრებაცაო.

აქვე ოშორაში გავიცანი ერთი მოხუცი ნურო სარადაშვილი, რომელმაც ბევრი ლექსი მითხრა ჯავახეთისა და კახეთის შესახებ, მაგრამ არც ერთი არ შეეხებოდა ასპინძის ომს, ამ ლექსის გარდა:

„ერეკლე შენ ოქმიანო,
ცხენ ლამაზ უნაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძის ბოლოს ყრიანო,
ყვავი-ყორანი ლეშსა სჭამს,
კაჭკაჭნი თვალებს თხრიანო“.

ხოლო ირაკლი-ხანი ყველას გაგონილი გვექსო და ამ შვიდიოდე წლის წინად, სოფ. ყაზმაში 110 წლის კაცი გარდაიცვალა ჩაჩო იასეშვილი, რომელმაც ირაკლი ხანის ამბავი ბევრი იცოდაო.

ნურო სარადაშვილის ნათქვამ ლექსებიდგან იქნება შემდეგი ლექსიც ეკუთვნოდეს ასპინძის ომს:

„გამარჯვებული ვეზირი
ძირს იჯდა, წამომხტარაო,
პაქსიმატები იქ დარჩათ
შიმშილმა უყო ძალაო“.

სარადაშვილმა მიმასწავლა: სოფ. ხიზაბავრას დელე პავლიაშვილი იკითხე და იმან ბევრი იცის ქართული ლექსიო.—ეს პავლიაშვილი 80 წლის ბერი კაცი აღმოჩნდა, ნამდვილი მისი სახელი სტეფანე ტატურაშვილია. ამანაც ზემო ნათქვამი ლექსები ყველა იცოდა და ორმოცამდეც სხვადასხვა ლექსი და ლეგენდა ჩამაწერინა. ხოლო ასპინძის ომის შესახებ შემდეგი ღირს შესანიშნავი ამბავი მიამბო:

„მეფე ერეკლე ასპინძას ჩამოვიდა ორი ათასი კაცით, მტკვარი მაშინ ადიდებული იყო და იმ ღამეს ერთი ბურჯი მოაშლევინა. თურბაზე (თათრების სასაფლაოზე), ზედ იმ სერზე იყო ჩხუბი, მეფემ უთხრა, ნუ-კი შევებმებით ჯარით, აი ერთი თქვენი გამოვიდეს, ერთიც ჩვენგნით და ვნახოთ ვინ ვის აჯობებსო, მაშინ ლეკებიდგან ამაყათ გამოვიდა კოხტა ბელადი, ერეკლე მეფე თეთრ ცხენზე იჯდა და ყველას უბრძანა: მეფეს ნულა დამიძახებთ, თეთრ ცხენიანი დამიძახეთო.

კოხტა ბელადმა უთხრა: აბა, დონდლუზო, გამექეციო. გააქენა ცხენი ერეკლემ, გამოუდგა კოხტა ბელადი... „მოვიდა, თეთრ ცხენაო“ დაუძახა თავისს კაცმა მეფეს და წამსვე კოხტა ბელადის მოქნეული ხმალი ასცდა მეფეს, რადგან ცხენს მუცელზედ მოექცა. ხმალმა სუ წაიღო უნაგრის აიარ-ყაში (თავი)... მოაჯდა მეფე ცხენს და დაჰკივლა კოხტა ბელადს; აბა, შენ თითონ დონდლუზო, ახლა შენ გამექეციო. გამოუდგა ერეკლე... კოხტა ბელადმა თამამად შემოჰხედა მეფეს და შემოსძახა: „რაო დონდლუზო, რა გინდაო“? მყრალო ლეკო გაიარე, გაიარეო, მიაძახა მეფემ და ამ დროს ერეკლემ მოუქნია ხმალი და ისე გაუარა ხმალმარო ლეკმა ვერც-კი გაიგო-რა... გადასჭრა კაცი... კოხტამ უთხრა: გიაურო ვერ მომარტყიო, მაგრამ ცოტა რო შეინძრა, ტანი ძირს ჩამოვარდა და ფეხები კი უზანგოში დარჩა... აი ეგ მინდაო, დაიძახა მეფემ და მიუბრუნდა ჯარს: აბა და ბიჭებო, ხმალი ამ წუნკალებსაო! და ჩაერივნენ ომის წყურვილით აძაგძაგებული ბიჭები და მიჰყვა ერეკლეც. ლეკის ჯარი მიაწყდა ადიდებულ მტკვარს, ხიდი აყრილი დახვდა... ამ დროს მიადგა ქართველი ჯარი, წყვიტა ლეკები და წყალში ყარა, ერთმა ლეკმა ძლივს დაახწია თავი და ცოცხალი გავიდა იქით ნაპირს, ეს რო დაინახეს, ერთმა ქართველმა დაუმიზნა თოფი და იქვე გააგორა. ერეკლეს ეწყინა: „რას ერჩოდიო, ამოდენა ზღვა სისხლი გაატანა და დევ წასულიყო, ამბავი წაეღოო...“

„იმავ დღეს მეფე ერეკლე თავის მხლებლებით ხიზაბავრას ამობძანდა. ღამე აქ დაისვენა. თავით ფეხებამდე ზილხი ეცვა, მხოლოდ თვალებიღა უჩანდა და ხელის მუჭა ჰქონდა ცალიერიო. ზილხი რო გაიხადა, დაბერტყა და სამი ოყა (9 გირვ.) ტყვია დასცვივდაო. .

— აი, ბიჭებო, ამდენი ტყვია მომარტყეს ი წუნკალებმაო...

„ხიზაბავრიდამ სისხამ დილას მეფე ერეკლე გაეშურა ტფილისისკენ მანგლისის გზითაო“...

ასე დააბოლოვა ჩემმა მობაასემ ეს საინტერესო ამბავი და მეც გავათავებ ჩემს წერილს პოეტის სიტყვებით:

... აწ მის დიდს ლვაწლსა,
უზომო კვალსა
სამშობლოისაგან რა უდგას ძეგლი?..
მის წმიდა გვამზედ,
წმიდა საფლავზედ
ოცი აგური და ფარჩა ძველი.

ილ. ალხაზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი

—

განზრახვა აქვთ მომავალ მარტს საურთიერთო დამხმარებელ კრედიტის წარმომადგენელთა კრება გამართონ ქ. პეტერბურგში.

— უმაღლესს მთავრობის წინაშე შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ კარგი იქმნება ყოველ დიდ ქალაქში განსაკუთრებული საზეითალო აფთიაქები დაარსდეს, სადაც ავადმყოფ პირუტყვთა საწამლებლად საჭირო წამლები უნდა ინახებოდეს და ისყიდებოდეს.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შეუწყნარებია შუამდგომლობა უმაღლესს სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისა ქ. სარატოვში.

— უკვე გამოქვეყნებულ იქმნა წესდება მომავალ საპოლიტეხნიკო ინსტიტუტისა, რომელიც 1898 წ. შემოდგომას დაარსდება ქ. კიევში. ამ წესდებით ინსტიტუტს სამი განყოფილება ექმნება: საქიმიო, სამექანიკო და საგრონომო. პირველ ორ განყოფილებას ხუთის წლის კურსი ექმნება და საგრონომოს-კი ოთხი წლისა. ინსტიტუტის პირველ კურსზედ უმაღლესს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ გარდა გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ მიიღებენ. ინსტიტუტში გარეშე მსმენელნიც მიიღებიან. ინსტიტუტში შესასვლელად ეგზამენის გარდახდა არავის დაევალება. სწავლის ფულად ყოველმა სტუდენტმა 50 მან. უნდა გარდაიხადოს. საუკეთესო მოსწავლენი-კი განთავისუფლდებიან ამ ფულის შეტანისაგან.

— უმაღლესმა მთავრობამ დაადგინა ერთი და იგივე უფლება მიანიჭოს მკურნალ ქალებსა და კაცებს. ამ უფლებით მხოლოდ ის მკურნალი ქალები ისარგებლებენ, რომელთაც უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტისა, ან დედათა სამკურნალო კურსების სწავლის დამთავრების მოწმობა ექმნებათ.

---

## წერილი პარიჟიდგან

### ემილ ზოლა სასამართლოს წინაშე

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

მოწმე გენერალი პელიე. 14 ნოემბერს მატიე დრეიფუსმა აღძრა საჩივარი და ამტკიცებდა, რომ ბორდეროს ავტორი ესტერგაზიაო. მე მომანდეს გამოძიება ამ საქმისა. უნდა მიმეღო საბუთები მატიე დრეიფუსისგან, მისის საჩივარის დასამტკიცებელი, მაგრამ არაფერი არ მიმიღია. შემდეგ მივიღე წერილი და მატყობინებდნენ, რომ ეს საბუთები შერერკესტნერთან არისო. მივმართე იმას, მაგრამ ასე მითხრა, მე არა მაქვსრა, ლებლუასა და პიკარს ჰკითხეთ, პიკარისაგან განმარტება ამ საქმისა საჭიროა, უამისოდ გამოძიება შეუძლებელია. მივმართე ლებლუას. მან მიჩვენა ნამდვილი პირი ესტერგაზის წერილებისა და ერთი დეპეშა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა, და კიდევ 14 წერილი გენერალ გონზისა. ახალშენელმა პიკარმა გადასცა თურმე ეს წერილები ლებლუას და თან დასძინა, რომ ესტერგაზი დამნაშავე არისო. ახალშენელმა პიკარმა დახლართა ეგ საქმე, ცხადლივ-კი გამოირკვა, რომ არ არის საბუთი ესტერგაზის დამნაშავობისა. ახალშენელი პიკარი, როგორც ბიუროს შეფი, 8 თვის განმავლობაში იჭერდა ესტერგაზის წერილებს, თუმცა ამისი ნება არა ჰქონდა დართული მთავრობისაგან. შემდეგში მე მომიტანეს სხვა წერილები, რომელიც გავხსენი, მაგრამ ეს იყო წერილები ახალგაზდა ქალის კომენჟისა, და არაფერს საინტერესოს არ წარმოადგენდა. ლურჯი ქაღალდი, რომლითაც უნდოდათ დაემტკიცებინათ ესტერგაზის დამოკიდებულება საზღვარ გარეთელებთან, კანონიერი არ იყო, რადგან ის არსად ყოფილა. წერილს ფოსტის ბეჭედი არა ჰქონდა და გახეულიც იყო. პიკარი ძალიან სცდილობდა დაემტკიცებინა კანონიერება ამ ლურჯის ქაღალდისა. ბოლოს პელიემ დაუმატა, რომ მეორე მოღალატე არ არის, ერთი მოღალატეა და დასჯილიც იქმნა იგი კანონიერადაო.

შემდეგ მოწვეულ იქმნენ მოწმენი: Depuy, Thevenet, სალეს ფოფენ, მაგრამ იმათ თითქმის არ ულაპარაკნიათ, რადგან ზოლას ვექილი ეკითხებოდა დრეიფუსის საქმის შესახებ, თავმჯდომარემ-კი ნება არ მისცა ამის გამო ლაპარაკისა.

მოწმე პიკარი, რომელმაც პირველად აღძრა ეგ საქმე და რომელიც ეხლა სამხედრო სამართალში უნდა მისცენ: 1894 წლის მაისის თვეში ჩამივარდა ერთი ქაღალდი, რომელიც ესტერგაზისთან უნდა გაეგზავნათ. ამ ქაღალდიდგან სჩანდა, რომ ესტერგაზის და ბორდეროს ავტორს დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან. მე შევადარე ეს ხელთ ნაწერი ბორდეროსთან და მსგავსება ვპოვე, მაგრამ მე არ მინდოდა აჩქარება და ამისათვის დავიწყე კვლევა ამ საქმისა. გადავიღე ფოტოგრაფიით რამდენიმე სიტყვა ამ წერილისა და ვუჩვენე ბერტელონს. მან სთქვა: „ეს ხელთ-ნაწერი ბორდეროს ხელიაო“. მერე ვუჩვენე პატი-დე-კლამს. იმან სთქვა: „ეგ მატიე დრეიფუსის ნაწერიაო“. ბიუროს ერთმა ჩუმა-მაძიებელმა მითხრა, რომ ერთმა კაცმა, ასე 50 წლისამ, გარდასცა რაღაცა საბუთი საზღვარ-გარეთელსაო. გენერალ გონზმა დამავალა, რომ მომეძებნა და შემეტყო, ეს ქაღალდი, ეს საბუთი გადაღებული ხომ არ იყო ესტერგაზისა ან იმის მოკეთეებისთვის. როდესაც დავიწყე კვლევა, ამ დროს გაზეთ „ეკლერში“ დაიბეჭდა, რომ ბორდეროს ავტორი სხვა აფიცერია და არა დრეიფუსიო. მერე დაიბეჭდა თვით ხელთ-ნაწერი ბორდეროსი. ძალიან გავოცდი, ვინ გადასცა პირი ამ ხელთ-ნაწერისამეთქი, რადგან, ჩვენს ბიუროს გარდა, არავინ არ იცოდა. ამ დროს გამგზავნეს ტუნისში, სადაც ორი დეპეშა მივიღე. ამ დეპეშებს ბოლოში ეწერა „Speranza“ და „Blanche“ და ერთიც წერილი. სამივე ერთის კაცის ხელით იყო დაწერილი, რადგან ჩემს გვარში სამივეში აკლდა ასო „C“, ეწერა Piquart Picquart-ის ნაცვლად. წერილში ეწერა: „ყველაფერი გამოაშკარავებულია, უკან დაიბრუნეთ საბუთები, ნურაფრისა გეშინიანთ“. დეპეშაში ეწერა „ყველაფერი გამოაშკარავებულიაო“. speranza; მეორეში „ავტორი ლურჯის ქაღალდისა გიორგია, ყველაფერი გამოაშკარავებულია“. (აქ უნდა დავძინოთ, რომ ქ-ნს კომენჟს ჰქვიან ბლანშ და როგორც პიკარი, ისე პატი-დე-კლამი იცნობდნენ და ეტრფიალებოდნენ, თუმცა არ იციან ვინ გამოგზავნა ეგ დეპეშები). არ ეგონათ, სთქვა პიკარმა, რომ მე ურიების „ამხანაგობაში“ — „სინდიკატში“ ვურევივარ, რომელთაც უნდათ დრეიფუსის განთავისუფლება. მე ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, თუმც ვხედავდი, რომ ამითი ვნება ეძლევა ჩემს სამსახურს, მაგრამ საქმის გამორკვევა მინდოდა. გრიბელენმა სთქვა, რომ ნოემბერში ვნახე ლებლუასთან ერთად და ამ დროს იმის წინ საიდუმლო ქაღალდები ეწყო გახსნილ კონვერტითაო. ეს ტყუილია. მე თავის დღეში არ მიჩვენებია და არც მილაპარაკნია საიდუმლო ქაღალდების შესახებ ლებლუასთან. ლებლუა პარიჟში არ იყო 5 ავგისტოდგან 7 ნოემბრამდის, მაშასადამე, ერთად ვერ ვიქმნებოდით.

გრიბელენი. ერთ საღამოს შემოველი თქვენსას გამოსამშვიდობებლად და ვნახე გახსნილ კონვერტში ქაღალდები.

პიკარი. ეგ შეუძლებელია. არ გახსოვთ.

გრიბელინი. კარგად მახსოვს.

კლემანსო (ვექილი). ერთ ერთი მოწმე სტყუის.

პიკარი. რაც შეეხება იმას, რომ ვითომ მე მსურვებოდეს „ლურჯის ქაღალდის“ დაკანონება და ამისათვის მდომებოდეს წინა რიცხვით ფოსტის ბეჭედის დაკვრა, ეს ტყუილია. მე მარტო ფოტოგრაფია გადავიღე, რომ დახეული ადგილები შემეერთებინა. მიკვირს, რად ამბობენ ამას, მეტადრე გრიბელენი, რომელსაც პატიოსან კაცად ვიცნობთ.

გრიბელენი. ჩემს პატიოსნებასა ვფიცავ და გაძლევთ სიტყვას ჯარისკაცისას, რომ ერთხელ თქვენ პალტოს იცვამდით და მკითხეთ, უნდა დაიკრას ბეჭედი თუ არა, მე მინდა დავაკანონოო.

პიკარი. მჯერა, არ მახსოვს, მაგრამ ასე ხშირად ვიქცევით ჩუმა-მაძიებელს ბიუროში.

კომანდანი ლოტი. პიკარმა მაჩვენა ფოტოგრაფია ამ ლურჯის ქაღალდისა და მითხრა, რომ ფოსტის ბეჭედი უნდა დავაკრათო.

პიკარი. არა, არა!

ლაბორი. რას აკეთებს ბიუროს უფროსი ჩუმა-მაძიებელი სამხედრო სამინისტროში?

პიკარი. საიდუმლო და საჯაშუშო საქმეებს იკვლევს.

ლაბორი. სამხედრო მინისტრს ჰყავს თავისი დელეგატები, რომელნიც თვალს ადევნებენ საიდუმლო საქმეების გარჩევას?

პიკარი. დიახ, ჰყავს.

ლაბორი. ვინ არის იმათი შეფი.

პიკარი. არავინ.

ლაბორი. აქვს მინისტრს ისეთი ქაღალდი, რომ იგი ესტერგაზის სიმართლეს ამტკიცებდეს?

პიკარი. არ ვიცი.

ლაბორი. როდესაც თქვენ იკვლევდით საქმეს, მიიღეთ ბრძანება, რომ თავი დაგენებებინათ გამოძიებისთვის?

პიკარი. თავისს დღეშიაც არა. ყოველთვის მე ვკითხავდი ხოლმე ჩემს უფროსებს, მხოლოდ პირველად მე დავიწყე ესტერგაზის საქმის გამოკვლევა.

ლაბორი. იყვნენ თუ არა იმისთანანი, რომელნიც სცდილობდნენ გაემართლებინათ ესტერგაზი და სამხედრო ბიუროდგან ამისი საბუთები მოეწოდებინათ.

პიკარი. ვგონებ არიან, მაგრამ რამდენი, ეს არ ვიცი.

ლაბორი. რად გაგზავნეს ტუნისში.

პიკარი. ჩემმა უფროსებმა გამგზავნეს და იმათ განკარგულების სიავ-კარგეს არ მინდა შევეხო, შორს-კი გამგზავნეს. პარიჟს მომაშორეს.

ლაბორი. იცოდა თუ არა ესტერგაზიმ წინდაწინ, რომ იმის გამო საიდუმლო გამოძიება იყო დაწყებული?

პიკარი. რასაკვირველია იცოდა, შეტყობინებული ჰქონდა ვიღასგანაც.

ლაბორი. არის თუ არა ისეთი საიდუმლო საბუთი ესტერგაზის საქმეში, რომელიც უფრო ესტერგაზის შეეხება, ვიდრე სხვა საქმეს?

პიკარი. საიდუმლო საბუთი არის, მაგრამ არ ვიცი, არსებობდა თუ არა ეს საბუთი 1894 წელს.

ლაბორი. რა საბუთია იგი?

პიკარი. მაგისი თქმა არ შემიძლიან, რადგან ეგ სამხედრო საიდუმლოა, თუ სამხედრო მინისტრი ნებას მომცემს, მაშინ ვიტყვი.

ლაბორი. სთხოვს თავმჯდომარეს, თხოვნა გაჰგზავნეთ მინისტრთან, რომ ამისი ნება დართოსო.

ლაბორი. გინახავთ ბორდეროს დედანი?

პიკარი. მინახავს.

ლაბორი. რა საბუთია „document liberateur“?

პიკარი. ეგ არის ნაწილი საიდუმლო საბუთისა. ეგ საბუთი იყო დაბეჭდილი „ეკლერში“, ძალიან გამიკვირდა, საიდამ იშოვეს მეთქი და მინდოდა აღმეკრძალა გაზეთი.

ლაბორი. გითხრათ თუ არა გენერალმა გონზმა, რომ დრეიფუსის საქმეს მისდიეთ, თუ მარტო ესტერგაზის საქმესაო?

პიკარი. გენერალმა მითხრა, რომ არ უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს ეგ ორი საქმეო. თუ ესტერგაზი აღმოჩნდება ბორდეროს ავტორი, მაშინ დრეიფუსი გამართლებული იქნებაო.

ლაბორი. მიართმევს ხოლმე თუ არა სამხედრო მინისტრს ბიუროს შეფი მოხსენებას?

პიკარი. რასაკვირველია.

ლაბორი. თქვენც მიართვით მოხსენება სამხედრო მინისტრს?

პიკარი. მაგის პასუხს ვერ მოგცემთ.

აღძრეს ისევ ლაპარაკი იმის შესახებ, რატომ არ მოვიდნენ ახალგაზდა ქალი კომენჟი და ქ-ნი ბულანსიო, ისევ გაგზავნეს ექიმები იმათთან.

სასამართლოს სხდომა შესწყდა საღამოს 6 საათზედ. ხვალ კიდევ განაგრძობს პიკარი თავისს ჩვენებას, ეს არის უმთავრესი მოწმე. ახალგაზდა ვექილები დიდის ამბით მიეგებნენ პიკარს, მაგრამ ბევრნი წინააღმდეგნი იყვნენ და ჰყვიროდნენ: „ვივ არმე“. ამ ყვირილის გამო გენერლები ალტაცებაში მოდიოდნენ და ხელს ართმევდნენ.

ამითი ვწყვეტ წერილს. დილის 8 საათიდგან საღამოს 6-მდე სასამართლოს დარბაზში ვარ და წერას ვერ ვასწრობ. ამ საქმის გამო აქ დიდ-ძალი კორრესპონდენტები არიან მოსულნი სხვა-და-სხვა ქვეყნიდგან.

გ.

(შემდეგი იქმნება)

*) იხ. „ივერია“ № 33.

---

# დამაკვირდი

ფილოსოფია ადვილად იმორჩილებს წარსულსა და მომავალს მწუხარებას; აწინდელი ჭირი და ვარამი-კი იმასა სჯაბნის.

ლაროშფუკო

* * *

სიარულის დროს ხან მარჯვნივ გადავიზნიქებით ხოლმე, ხან მარცხნივ; ამ გვარადვე მიემართება ერი წინ განათლების გზაზედ.

ჰერდერი

* * *

ყოველი ადამიანი ათის წლით ადრე ან გვიან რომ დაბადებულიყო, განათლებისა და მოღვაწეობის მხრივ სულ სხვა გამოვიდოდა.

ჰიოტე

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი პროფესსორის თარხნიშვილისა, სადაც მოხსენებული იყო, რომ მკურნალმა გრასსემ შესანიშნავი ამბავი აუწყა სამეცნიერო აკადემიას, ვითომ ერთ ქალს გაუხსნელი და დაბეჭდილი წერილი წაუკითხავს ისე, რომ ნაწერი არ დაუნახავსო. იქვე დავსძინეთ, რომ ამ ამბის გამოსაკვლევად დანიშნულია საგანგებო კომისია და რასაც ის გამოიკვლევს, მკითხველებს ვაუწყებთო. ეხლა ვასრულებთ ჩვენს დაპირებას.

სამეცნიერო აკადემიამ აირჩია კომისია, რომლის წევრებად მოჰყვნენ: ლაბორონტი საფიზიკო კაბინეტისა ბერტენ-სანი, ვექილთა უფროსი გიბალი, ფიზიკის პროფესორი მელინი და იგივე მკურნალი გრასსე, რომელმაც მოახსენა აკადემიას ზემოხსენებული საკვირველი ამბავი. კომისია გაემგზავრა ნარბონას, იმ ქალაქში, სადაცა სცხოვრობს ფერული და ის საკვირველი ქალი. კომისიამ ორჯელ გამოსცადა ეს ქალი. პირველად აიღეს წერილი, მოაქციეს ფოტოგრაფიის ფირფიტებ შორის და ჩასდეს ხის ყუთში, წერილი ქალისათვის ხელში არ მიუციათ. იგი მკურნალის სახლში იყო, 150 საჟენის მანძილზედ; ამგვარ მანძილზედ იყო წერილი ქალისაგან, მაშინ, როდესაც ფერულმა განაცხადა, ქალმა წაიკითხა წერილის შინაარსიო. მეორედ წერილი ჩასდეს კონვერტებში და ისე ეჭირათ ქალის შორი-ახლოს იმ მანძილზედ, რომელზედაც თვით ქალმა სთქვა, წერილს წავიკითხავო. ორთავე გამოცდის დროს ფერული იქ იყო. წერილის შინაარსი არა სცოდნია არც ფერულს და არც ერთს წევრს კომისიისას.

ეს გამოცდა აი რითი გათავდა: ქალმა ვერც ერთი წერილი ვერც წაიკითხა და ვერც ვერაფერი გაიგო.

ამ ამბავს ჟურნალი „Вѣст. иностр, лит.“ დასძენს:

ფერული და ნორბანნის ზოგიერთი მცხოვრებლები, რომელთაც სიტყვა დაეჯერებათ ამტკიცებენ, რომ ამ ქალს მართლა შესძლებია დაბეჭდილ წერილის შინაარსის გაგება წერილის დაუნახავად. ძნელია იმის თქმაო, ამბობს ეს ჟურნალი, რომ შეუძლებელია ქალს მართლა ჰქონდეს ასეთი ნიჭი, ანუ უნარი. ხომ გამოიგონეს, მაგალითად, რენტგენის სინათლე, რომლის შემწეობითაც შეიძლება იმის დანახვა, რის დანახვაც აქამდე შეუძლებელი იყო. ხომ გამოიგონეს უმავთულო ტელეგრაფის მანქნები, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი გახდა დიდს მანძილზე დეპეშის გადაცემა. საოცარი არ იქმნება ამიტომ, რომ ამ ქალს მართლა შესძლებიყოს დაბეჭდილის წერილის შინაარსის გაგება. მაშ რატომ ვერ წაიკითხა ქალმა ის წერილი, რომელიც კომისიამ წარუდგინა? ეს ჯერ იმას არ ნიშნავს, რომ არც უწინ შესძლებიყოს ქალს ამ გვარ წერილების წაკითხვა. აკი შევუნდობთ ხოლმე ხანდახან მომღერალს, როცა ხმა არა აქვს და ჩვეულებისამებრ კარგად ვერა მღერის. შეიძლება, ასე მოუვიდა ამ ჟამად იმ ქალსაც, შეიძლება „გუნებაზედ“ ვერ იყოო.

ჩვენის მხრივ ვერაფერს ვერ ვიტყვით ამ ამბის გამო, მაგრამ ყოველსავე ეჭვის ასაცილებლად ურიგო არ იქმნება, კიდევ რამდენჯერმე რომ სცადოს კომისიამ ამ საყუ-

რადღებო ამბის გამოკვლევა. თუ ქალმა ვერც ერთხელ ვერ წაიკითხა დაბეჭდილი წერილი და ვერაფერი შეიტყო, მაშინ ხომ ნათლად დამტკიცდება, რომ ეს ამბავი მოგონილია ხალხის მოსატყუებლად.

## რომელი გეოგრაფიული სახელ წოდება სჯობია?

(მცირე შენიშვნა)

ჩვენ მწერლობაში სიტყვა „водопадъ“-ს პირდაპირ სთარგმნიან „წყალვარდნილად“. ჰხმარობენ აგრეთვე „ჩანჩქერს“, მაგრამ ამ ცნების უფრო უკეთესად გამომხატველი სიტყვა არის ხალხში „მეჩხერი“. ქუთაისის მაზრაში ს. ძმუისში ჩამოდის მდინარე ლეხიდარი, რომელიც ჩაერთვის რიონს მარცხნით. ეს მდინარე სამს ალაგას საკმაო მაღალის კლდიდან გადმოჰქუხს და ხალხი ამ ალაგებს „მეჩხერს“ ეძახის, მხოლოდ ერთი ერთმანეთისაგან გასარჩევათ ამბობს: ზემო მეჩხერი, შუა მეჩხერი და ქვედა, ანუ დიდი მეჩხერი (ამისი სიმაღლე თხუთმეტი საჟენია და სასიამოვნო სანახავია, მეტადრე წყალდიდობის დროს.)

მგონია სიტყვა „მეჩხერი“ უფრო სწორედ ჰხატავს იმ ცნებას, რომელსაც „водоподъ“-ი ჰქვიან, ვიდრე წყალვარდნილი ანუ ჩანჩქარი. თუ ასეა, უკეთესი იქნება შემოღებულ იქმნას გეოგრაფიულ ტერმინათ „მეჩხერი“.

ძმუისელი

## შემოწირულება

დიმიტრიაშვილის ობლების სასარგებლოდ მივიღეთ კიდევ უცნობის ქალისაგან ორი მან. და მღვდელ მ. ბუაჩიძისაგან ორი მან., შეკრებილი მის მიერ მრევლ შორის, სულ ოთხი მან. მ. ბუაჩიძეს შეუკრებია 2 მან. 15 კაპ., ხოლო 15 კაპ. ფოსტის ხარჯს მოსდომებია.

# ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნები:

1. „მეექვსე ნომერი“, ანუ „ხალიფის წინაამდეგი“, ამბავი ილდიზ-კიოსკიდგან, იასე რაჭველისა. ფასი 30 კაპ.

2. „რამას განდევნა“ პოემიდგან „რამაიანი“, გერმანულიდგან ნათარგმნი ალ. ს—შვილის მიერ. ფასი 40 კაპ.

ამ წიგნებს საბიბლიოგრაფიო წერილებს ვუძღვნით.

## „ივერიის“ ფოსტა

**ა. მკაში ნაძებს.** ჩვენ თითონ წარმოგვიდგინა ბ-ნმა ი—იანმა მთავრობის მოწერილობა და დავრწმუნდით. ამიტომ თქვენი წერილი სიმართლეს არ ეთანხმება.

**სტეფანე ბეჟაიას.** გაზეთი პირველ იანვრიდგან წესიერად გეგზავნებათ და არც ერთი ნომერი არ დაგვიკლია. მანდ, ფოსტაში, მოიკითხეთ.

**დროებით გომელს.** ანგარიშს სურამულაზედ ორის ხის ხიდისა და ერთის ბოგირის გაკეთებისას მაშინ დავბეჭდავთ, როდესაც თქვენს ვინაობას შეგვატყობინებთ. როგორც მოგეხსენებათ, უსახელო წერილებს რედაქცია არა ჰბეჭდავს.

**დ. ფასანაური. ბ-ნს კარსელიშვილს.** თქვენი წერილი „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ გარდავეცით და იქიდგან მიიღებთ დაკვეთილს წიგნებს.

**იმ. რ—ლს.** თქვენი წერილი „მე გახლავარ“-ის პასუხად არ დაიბეჭდება.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ „ივერიის“, „ცნობის ფურცლის“, „მოამბის“, „კვალის“, „მეურნის“, „მწყემსის“, „Нов Обозр.“ და „Пастирь“-ის რედაქციებს ამ ჟურნალ-გაზეთების უფასოდ დათმობისათვის. იმედი გვაქვს, შემდეგშიაც მოგვაწვდიან თავისს გამოცემებს და ამითი შეგვაძლებინებენ ჩვენის ქვეყნისა და იმისს მკვიდრთა ავ-კარგს ყურადღებით თვალი ვადევნოთ.

ამხანავთა მონდობილობით სტუდენტი კონსტანტინე რობიტაშვილი ქ. ტომსკი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 თებერვალი

**პეტერბურგი.** საერო განათლების დროებით მმართველს ანიჩკოვს უბრძანა უპართებელესს სენატში ყოფნა.

**პარიჟი.** ლაბორის განზრახვა აქვს საკასაციო საჩივარი შეიტანოს ზოლას საქმის გამო.

სამხედრო მინისტრი განაცხადებს ხვალ გარდაწყვეტილებას, რომელიც შეეხება პიკარს. უეჭველია, პიკარი დათხოვნილ იქმნება სამსახურიდგან თხოვნის წარუდგენელად.

შინაგან საქმეთა მინისტრი დაითხოვს მეშვიდე ოლქის მერის თანამდებობისაგან მერის თანაშემწის აღმასრულებელს ვექილს ლებლუას.

**პარიჟი.** პალატა. ბრისონმა განაცხადა, რომ გიუბარისა და გატიესაგან მივიღეთ მოხსენებანიო. მელინის თხოვნისა გამო ამ მოხსენებათა განხილვას დაუყოვნებლივ შეუდგებიან. ბუდბარმა წარადგინა მოხსენება შესახებ პელიესა და ბუადეფრის მიერ ზოლას საქმეში გარევისა. გიუბარი თხოულობს იმის განმარტებას, ბელიომ ბრძანა ამ საქმის განხილვა, თუ მხოლოდ იმის ნებართვით მოხდაო. ორატორი ამბობს, რომ (შუაგული დასი წამ და უწუმ სიტყვას აწყვეტინებს) სარწმუნოების სხვა-დასხვაობის გამო ომიანობის შიში მოგველისო და ბოლოს დასძენს, საჭიროა ბოლო მოეღოს ქუჩებში უწესოებასაო. ვივიანი ამბობს, რომ სოციალისტები თუმცა დრეიფუსის საქმის გამო თანხმანი არ არიან, მაგრამ რაც შეეხება სამხედრო მთავრობის უფლებას, ამ საქმეში კი ყველამ ერთი აზრი განაცხადესო. შემდეგ ორატორმა ილაპარაკა ჯარის უფროსთა და ეკკლესიის შესახებ და სთქვა, ვშიშობ, რომ თავისუფლება განსაცდელში არ ჩავარდესო და ბოლოს სთქვა—პალატამ წინააღმდეგობა უნდა განუცხადოს გენერალთა მოქმედებასაო. (ტაშის ცემა მარცხნივ, ყვირილი შუაგულ დასში). მელინმა უპასუხა: საზღვარ გარედ ყოველ დღე ირჩევა ჯაშუშობის საქმე. განა რომანის საქმის გარჩევამ საფრანგეთის მწერლობაში ისეთი აღელვება გამოიწვია, როგორც დრეიფუსის საქმემ? აქედგან სჩანს, რომ დროა ამას ბოლო მოეღოს (ხანგრძლივი ტაშის ცემაა), გარდა ამისა, ამას მოითხოვს ჯარის ინტერესები, საზოგადოების მშვიდობიანობა, გარეშე უშიშრობა (ტაშის ცემა) და აგრეთვე იმათი ინტერესები, ვინც ეგრე დაუხედავად ჩაერია ამ აგიტაციაში და ამით საფრანგეთს მიაყენა განსაცდელი ომიანობისა სხვათა სარწმუნოების შეუწყნარებლობისა გამო. მელინი დასცინის იმ რჩეულ ინტელიგენტებს, რომელნიც თვალს იხუჭავენ და ყურს იცობენ (ტაშის ცემა). მთავრობას საქმე აქვს იმ იარასთან, რომლის მორჩენაც აუცილებლად საჭიროა. მთავრობა ეცდება დაამშვიდოს ხალხი და მიიღოს ის ღონისძიება, რომელსაც გარემოება მოითხოვს. გუშინდელს გარდაწყვეტილების შემდეგ არავის შეეძლება თავის გამართლებად გულწრფელობა დაასახელოს. თუ ის კანონები, რომლითაც მთავრობა ხელმძღვანელობს, საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინ იგივე მთავრობა სხვა კანონებს მოითხოვს. პალატის უმრავლესობა დაამტკიცებს, რომ, როცა საქმე მამულიშვილობას შეეხება, მაშინ სხვა-და სხვა დასი აღარ არსებობს. (ხანგრძლივი ტაშის ცემა). გუიონმა განაცხადა, საჭიროა მელინის სიტყვა დაიბეჭდოს და მთელ საფრანგეთში გავრცელდეს. ეს წინადადება შეწყნარებულ იქმნა. პალატამ, 416 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 41-სა მთავრობის დეკლარაციას ნდობა განუცხადა.

15 თებერვალი.

**ბელგრადი.** როგორც ხმა დადის, აზრდა აქვთ სკუპჩინა დაითხოვონ, შემდეგ მარტში ხელ-ახალი არჩევანები მოახდინონ და აპრილში ნიშს ახალი სკუპშჩინა მოიწვიონ.

**პრაგა.** სეიმი. ობერლანდმარშალმა მოითხოვა ნება დართონ სეიმის სახელით იმის მეთაურობით დეპუტაციამ მიულოცოს იმპერატორს 50 წლის მეფობის შესრულებისა გამო.

**ლონდონი.** „Daily mail“-ს დეპეშით ატყობინებენ სინგაპურიდგან, რომ, როგორც გონკონგიდგან მოსულის დეპეშიდგანა სჩანს, საფრანგეთის შეიარაღებული ჯარი ჩამოხტა კუ-ანჩუევაში, გონკონგიდგან სამხრეთ-დასავლეთისკენ 240 ინგლისის მილის მანძილზედ და აცნობა ჩინელებს, აზრადა გვაქვს აქ შენობანი ავაგოთო.

**პარიჟი.** დრიუმანისა და კლემანსოს შორის დამბაჩებით დუელი მოხდა იმ კამათის გამო, რომელიც ზოლას საქმის გარჩევის დროს იქმნა გამოწვეული. მოწინაამდეგეთ სამსამჯერ გაისროლეს დამბაჩები, მაგრამ არც ერთი დაშავებულა.

**შერბურგი.** სამხედრო გემი „ბრიუი“ აქედგან წავიდა, რომ შორეულ აღმოსავლეთის ესკადრას შეუერთდეს.

**ათინა.** 14 თებერვალს, როდესაც მეფე დედოფლის მარიამითურთ ლანდოთი ფალერონიდგან მიდიოდა, ორმა კაცმა, რომელნიც გზის თხრილში იყვნენ დამალულნი, ეტლს თოფები ესროლეს. პირველი ტყვია ასცდა, ხოლო მეორე ლეიბეგერს ხელში მოხვდა. ამის შემდეგ ცხენები გაიქცნენ. დამალულთ შვიდჯერ კიდევ გაისროლეს თოფი, მაგრამ უნაყოფოდ. მეფე და დედოფალი სასახლეში მშვიდობიანად დაბრუნდნენ. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთს ბოროტმომქმედთაგანს ყომრალი ტანისამოსი ეცვა. მეფემა სთქვა, რომ იმას ადვილად ვიცნობო. ორივე ბოროტ მოქმედნი გაიქცნენ. ხმა დადის, რომ პოლიციამ იმათ კვალს მიაგნოო. იმ ამბავმა, რომ მეფის მოკვლა უნდოდათ, მთელი საბერძნეთის ერი დიდად აღელვა და გაამწვავა. ყველგან ემზადებიან, რომ მანიფესტაციები გამართონ და ამით მეფეს თანაგრძნობა გამოუცხადონ.

პეტერბურგის ბირჟა, 13 თებერვალი.

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | „ — | — „ | $227\frac{1}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $100\frac{1}{8}$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 100 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 282 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | „ — | — „ | 259 |


# განცხადებანი

# ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

## ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1898 წლის 16 მარტს გამგეობის თანადასწრებით და გამგეობისვე სადგომში, ნაშუადღევის პირველ საათზედ, მოხდება საბოლოო სიტყიერი საჯარო გაჭრობა, ვაჭრობის განუმეორებლად, რათა **გასყიდულ იქმნას ხეე ქალაქის გაუჩეხელი ტყე,** რომელიც მდებარეობს ქალაქ ფოთის აღმოსავლეთით, მდინარე რიონსა, ნადარტის არხსა, მდ. ფიჩორსა, პალეოსტომის ტბასა და შავს წყალს შუა, მანძილით დაახლოვებით 500 დესეტინა, ანუ რამდენიც ნამდვილად აღმოჩნდება ამ საზღვრებს შუა, იმ პირობით, რომ ნასყიდი ხე გასჩეხოს მყიდველმა. მყიდველის მიერ ვალდებულების უზრუნველ-საყოფლად საჭიროა წარდგენილ იქმნას ნასყიდის ფასის ოცი პროცენტი ფულად ან მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ აქციით და ობლიგაციით და აგრეთვე სხვით, რაც კი ნება-დართულია მთავრობისაგან საიჯარო საქმეში წინდად მისაღებად ამისათვის დადებულის ფასით. საჯარო ვაჭრობის დამტკიცება დამოკიდებულია ფოთის ქალაქის საბჭოსაგან. მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები, ტყის გეგმა და აღწერილობა ფოთის ქალაქის გამგეობაში უქმე დღეებს გარდა ყოველ დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

## წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა საღარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | » | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVШ ст., его-же . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова . . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его же . . . . | » | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили . . . . | | 60 |
| Матеріалы для русской исторіи, его же . . . | 3 | |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Бутква 3 т. . . . . . | 7 | 50 |


До зволено цензурою, Тифлисъ 16-го Февраля 1898 г.

სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.